კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
შპს ლოიალტე
2024 წლის 31 დეკემბერი

თბილისი
2025

შპს ლოიალტე
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	31-დეკ-24	31-დეკ-23	31-დეკ-22
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	324804	60006	179627
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	534797	379161	270036
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		116575	26205	124167
მარაგები		9866	86	26
სხვა		9866	86	26
სხვა მოკლევადიანი აქტივები		12671	10913	7365
სხვა არამატერიალური აქტივები		16511	16219	15214
ძირითადი საშუალებები	3	3655465	2077502	2005073
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		125471	51276	48626
სულ აქტივები		**4796160**	**2621368**	**2650134**
სავაჭრო ვალდებულებები	4	149759	120522	159840
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		1922	28	5914
საგადასახადო ვალდებულებები		51437	39434	35028
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		276913	197162	212002
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		3496940	1745734	1827874
სხვა ვალდებულებები		232511	111716	73236
სულ ვალდებულებები		**4209481**	**2214596**	**2313894**
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		586679	384390	320019
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		580453	384390	320019
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		6226	22382	16221
სულ საკუთარი კაპიტალი		**586679**	**406772**	**336240**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**4796160**	**2621368**	**2650134**

_____
შორენა ჯსუბაშვილი
დირექტორი

შპს ლოიალტე

1 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შპს ლოიალტე
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

საქმიანობის შედეგები	**31-დეკ-24**	**31-დეკ-23**
ნეტო ამონაგები	2835392	1930650
მომსახურების გაწევიდან	2835392	1930650
საერთო მოგება	2835392	1930650
სხვა საოპერაციო შემოსავალი	260	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1706618	-1268395
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-64555	-63365
საპროცენტო შემოსავალი	1873	2698
საპროცენტო ხარჯი	-131486	-141616
იჯარის ხარჯი	-17503	-1219
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-579431	-340679
სულ საოპერაციო ხარჯები	**-2497460**	**-1812576**
საოპერაციო მოგება	337932	118074
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-85335	-20098
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-11573	9322
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	**241024**	**107298**
მოგების გადასახადის ხარჯი	-22527	-5515
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	**218497**	**101783**
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	**218497**	**101783**
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	175105	113161
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	43392	-11378
მოგება / (ზარალი)	**218497**	**101783**
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	175105	113161
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	43392	-11378
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	**218497**	**101783**
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**406772**	**336240**
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-38589	-31251
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**586679**	**406772**

შორენა ასპაშვილი
დირექტორი

შპს ლოიალტე

1 ოქტომბერი, 2025
თბილისი, საქართველო

ჯგუფი და მისი საქმიანობა

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „ლოიალტეს“ (დედა საწარმო) და მისი შვილობილი საწარმოების შპს ჰირო 405360443 (100%) და შპს ლოიალტე ფაინანსი 405470360 (60%) მიერ, შემდგომში ერთობლოივად ჯგუფი. შპს ლოიალტე დედა საწარმო არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/ნ 405277347), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2018 წლის 25 ივნისიდან. საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ., № 3, კორპ. № 20, ბ. № 1

დაფუძნების თარიღიდან ჯგუფის 80%-იანი წილის მფლობელი არის გრიგოლი ფაიქიძე, 20%-იანი წილის მფლობელი შორენა ასაბაშვილი. ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობას დაარსების დღიდან წარმართავენ დირექტორები - გრიგოლი ფაიქიძე და შორენა ასაბაშვილი.

შპს „ლოიალტე“ ეწევა ბუღალტრულ და აუდიტორულ მომსახურებას. ფლობს სამ ფილიალს თბილისსა და ბათუმში. შვილობილები ეწევიან საკონსულტაციო საქმიანობას.

ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს სამუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

მომზადების საფუძველი

განაცხადი შესაბამისობაზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის“ (ფასს-ები მსს-სთვის) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონთან შესაბამისობაში.

ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის საჭიროა გარკვეული მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებების გამოყენება. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება ჯგუფის საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, სადაც მაღალი ხარისხით იქნა გამოყენებული განსჯა და სირთულით ხასიათდება, ასევე სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, გამჟღავნებულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებში შესული მუხლები ფასდება პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც საწარმო ოპერირებს (სამუშაო ვალუტა). ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული უცხოური სავალუტო ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება ოპერაციების განხორციელებისას გავრცელებული სავალუტო კურსების მიხედვით. უცხოური სავალუტო შემოსულობები და ზარალი, რომელიც მსგავსი ოპერაციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსების გადაყვანის შედეგია, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების“ ნაწილში. ყველა სხვა უცხოური ვალუტის გაცვლის შემოსულობა და ზარალი წარდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, „სხვა საოპერაციო ხარჯების“ ან „სხვა შემოსავლის“ ნაწილში.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 2.8068 ლარს. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 2.6894 ლარს და წლის საშუალო კურსი 1 აშშ დოლარი = 2.6287 ლარს.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები *(გაგრძელება)*

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გატარებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ღირებულებით. შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ ჯგუფის არ ექნება კუთვნილი თანხების ამოღების შესაძლებლობა მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე. მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს , მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგი გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის გასაყიდ ფასამდე, შემცირებული გაყიდვის ხარჯებით. გაუფასურების ზარალი მყისიერად აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, ისტორიული ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან დაგროვილი გაუფასურების ანარიცხებით. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (მსს) ფასს-ებზე გადასვლის თარიღით ანუ 2019 წლის 1 იანვარს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განსაზღვრული იყო ამ თარიღით მის რეალურ ღირებულებასთან მიმართებაში („დასაშვები საწყისი ღირებულება“).

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება ჯგუფის მიერ და შესაძლებელია დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთა დაირიცხება ისე, რომ აქტივების ღირებულება, შემცირებული მათი ნარჩენი ღირებულებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში გადანაწილდეს, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

შენობა	2%
მანქანა-დანადგარები	10%-15%
ოფისის აღჭურვილობა და სხვა	15%-20%

აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თუ ბოლო საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არსებობს მითითება მნიშვნელოვან ცვლილებაზე .

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები *(გაგრძელება)*

ცვეთა (გაგრძელება). აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად თანხამდე იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია ვიდრე მისი ანაზღაურებადი თანხა.

გასვლებიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება „სხვა საოპერაციო შემოსავალში“ და „სხვა საოპერაციო დანახარჯებში“ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა დავალიანება. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საგადასახადო ვალდებულებები. გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასაწარი გადახდის სახით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც მოსალოდნელია რომ გადახდილი იქნება საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან იქნება მისაღები, მიმდინარე და გასული პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს, როდესაც ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი აისახება ბალანსის ვალდებულების მეთოდით საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებისათვის. საწყისი აღიარებისგან გათავისუფლების გამო, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას წარმოქმნილ დროებით სხვაობებზე, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ მოიცავს საწარმოთა გაერთიანებას, თუ ეს ოპერაციები საწყისი აღიარებისას გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება იმ საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც ძალაშია ან შემდეგში შევა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდება იმ პერიოდზე, როდესაც დროებითი განსხვავებები ანულირდება ან გამოყენებული იქნება შემდეგ პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისათვის და გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აღირიცხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობები მომავალში ანულირდება და საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგება წარმოიქმნება იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს მის საპირისპიროდ აღნიშნული გამოქვითვების გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება, როდესაც არსებობს იურიდიულად აღსრულებადი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადაფარვისათვის და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც დაკისრებულია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ იმავე დასაბეგრ საწარმოზე ან სხვა დასაბეგრ საწარმოებზე, როდესაც არ არსებობს ამ ნაშთების ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების განზრახვა.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ***(გაგრძელება)***

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%- იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადანაწილებიდან აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის დანახარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რა პერიოდში ან რა თარიღით ჰქონდა ფაქტობრივ გადახდას ადგილი. პირობითი სამემოსავლო გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა საოპერაციო დანახარჯებში.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ყველა სავაჭრო შემოსავლის, დოსკონტირების, მოცულობითი ფასდათმობების გარეშე. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს მაშინ, როდესაც ამონაგების თანხის სანდოდ შეფასება შესაძლებელია; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება; და, როდესაც ჯგუფის თითოეული საქმიანობისთვის სპეციალური კრიტერიუმები დაცულია.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთ გადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებისას ითვალისწინებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობას, ფიზიკური ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. ამ ნებისმიერი პირობების ან დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთის კორექტირებები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება მომხმარებლის სპეციფიური ანგარიშების ამოღებადობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. თუ მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი ან ფაქტობრივ დეფოლტი აღემატება შეფასებულს, ფაქტობრივი მოთხოვნების ანგარიშები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. ჯგუფი საზღვრავს იმას, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი კონსოლიდირებულად შეფასებული მოთხოვნების ანგარიშებისთვის, მნიშვნელოვანია თუ არა, ის მოიცავს მოთხოვნის ანგარიშს მოთხოვნების ანგარიშების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლები და ჯამურად აფასებს მათ გაუფასურებაზე. გაუფასურების ჯამური შეფასების მიზნებისთვის, მოთხოვნების ანგარიშები ჯგუფდება მსგავსის საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები შესატყვისია სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისა მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის იმით, რომ მაჩვენებელია მსესხებლის უნარისა, გადაიხადოს ყველა გადასახადი თანხა, რომელიც ეკისრება ამ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობებით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც ფასდება როგორც კონსოლიდირებულად არ გაუფასურებული გაუფასურებაზე შეფასდება ჯამურად ჯგუფის ისტორიული ამოღების გამოცდილების გათვალისწინებით მსგავსი ხანდაზმულობის მქონე აქტივებისთვის. სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები კეთდება ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე გარკვეული ხანდაზმულობის კატეგორიის ანგარიშებიდან. გაუფასურების ანარიცხის ღირებულება სენსიტიურია გამოყენებული სპეციფიური პროცენტებისადმი.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა ჯგუფის საქმიანობაზე ფინანსურ ბაზრებზე სიტუაციის გავლენა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31-Dec-24	31-Dec-23	31-Dec-22
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	290,943	59,885	159,547
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	33,861	120	20,080
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**324,803**	**60,006**	**179,627**

2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-Dec-24	31-Dec-23	31-Dec-22
სავაჭრო მოთხოვნები	464,898	347,009	229,489
სხვა მოთხოვნები	69,899	32,152	40,547
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**534,797**	**379,161**	**270,036**

3 ძირითადი საშუალებები

	შენობა	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება			
31-დეკ-22	**1,982,948**	**103,994**	**2,086,941**
შეძენა	92,010	43,784	135,794
31-დეკ-23	**2,074,958**	**147,778**	**2,222,735**
შეძენა	1,597,588	44,929	1,642,517
31-დეკ-24	**3,672,546**	**192,706**	**3,865,252**
აკუმულირებული ცვეთა			
31-დეკ-22	**33,693**	**48,175**	**81,868**
პერიოდის ცვეთა	25,782	37,583	63,365
31-დეკ-23	**59,476**	**85,757**	**145,233**
პერიოდის ცვეთა	27,139	37,415	64,554
31-დეკ-24	**86,615**	**123,173**	**209,787**
წარჩენი ღირებულება			
31-დეკ-22	**1,949,254**	**55,819**	**2,005,073**
31-დეკ-23	**2,015,482**	**62,020**	**2,077,502**
31-დეკ-24	**3,585,931**	**69,534**	**3,655,465**

4 სავაჭრო ვალდებულებები

	31-Dec-24	31-Dec-23	31-Dec-22
სავაჭრო ვალდებულებები	149,759	120,522	159,840
სულ სავაჭრო ვალდებულებები	**149,759**	**120,522**	**159,840**

5 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე", წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ჯგუფში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ)მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

2022-2024 წლის განმავლობაში ლოიალტეს ურთიერთობა ქონდა ურთიერთდაკავშირებულ
პირებთან შპს ჰიროსთან და შპს ლოიალტე ფაინანსთან. ეს იყო ჯგუფის შიდა ოპერაციები სადაც ხდებოდა მხოლოდ ინვენსტიციის გაზრდა ლოიალტეს მხრიდან.

6 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

7 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

_____
შორენა ასაბაშვილი
დირექტორი

შპს ლოიალტე

1 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო